საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000017915999520

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **6** **04 / მარტი / 2020 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დასახლების გაყოფის, ახალი დასახლების შექმნისა და სახელდების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ა)“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N307 დადგენილებით დამტკიცებული ,,დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესები“-ს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოწონებულ იქნას სოფელ ხორხელის მოსახლეობის წინადადება და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სოფელ ხორხელის გაყოფის, ახალი დასახლების შექმნის და მისთვის სახელწოდების ,,იმერლიაანთ უბანი“, მინიჭების თაობაზე.

2. განკარგულება დასახლების სახელდების მოწონების თაობაზე, დასკვნის მიღების მიზნით გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და დაინტერესებულ პირებს, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი